ხაშურის მოამბე

№17(390) 8 მაისი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

4 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

სხდომაზე განსახილველად 7 საკითხი იყო წარმოდგენილი .

საკრებულომ, ხმათა უმრავლესობით, დაამტკიცა ცვლილებები ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტსა და ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმაში;

აგრეთვე, დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებებში;

მხარი დაუჭირა პროექტს „ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე";

მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში; (იხ. II გვერდზე) და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მართვაში არსებული შპს „ხაშურის დეზინფექციის, დეზინფექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სამსახურის" მიერ, 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომას ესწრებოდნენ მერიის სამსახურების ხელმძღვანელები,საჯარო სკოლების უფროსკლასელები.

ხაშურმა ეუთოს ახალგაზრდულ დელეგაციას უმასპინძლა

3 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტში სტუმრად იმყოფებოდა ეუთოს (OSCE) ახალგაზრდული დელეგაცია ქალაქ დუშანბედან (ტაჯიკეთი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა დელეგაციის წევრებს გაუზიარა გამოცდილება გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის, გამოწვევების, მიღწევების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე, გენდერული თან-ასწორობის საბჭოს მდი-ვანი მაკა დიდებულიძე, მერიის გენდერულ თანასწორობაზე პასუ-ხისმგებელი პირი ნინო სუხიაშვილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე, რომლებმაც უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

სასწავლო ვიზიტი ჩატარდა ეუთოს პროექტის ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მონაწილეობის ფარგლებში.

ხაშურის მუნიციპალიტეტში საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება დაიწყო

დოკუმენტის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის წევრები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან ერთად USAID ძლიერი სოფლის პროგრამის ექსპერტ შოთა მურღულიას შეხვდნენ და

სფეროების მიხედვით საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე შეთანხმდნენ.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც პოზიტიურად აისახება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე. თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამა ხაშურის მუნიციპალიტეტს სრულყოფილი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება და ამით მხარს დაუჭერს რეგიონის გაძლიერებას, ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენასა და არსებულ და სამომავლო რისკებთან გამკლავებაში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფი აერთიანებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს, სკოლების ხელმძღვანელებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს, სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სასმსახურის მიერ2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ზედამხედველობის სამსახური ფუნქციონირებს: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს; „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს; „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი“-ს; „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის, „პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ N44 დადგენილებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე გამოვლინდა 15 სამართალდარღვევა, შედგა 14 მითითება, 15 შემოწმების აქტი და გამოიცა 15 დადგენილება. აქედან, 4 ფაქტზე შესრულდა ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნა უზუსტობის აღმოფხვრაზე და გამოიცა დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ, ხოლო დანარჩენ 11 ფაქტზე გამოიცა დადგენილება დაჯარიმების შესახებ.
2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების ფაქტზე შედგენილია 9 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და გადაგზავნილია სასამართლოში განსახილველად. 6 ოქმი შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, მოსამართლის გადაწყვეტილებით ერთ სამართალდარღვევაზე შეწყდა საქმისწარმოება, ხოლო დანარჩენ ხუთ სამართალდარღვევაზე სასამართლო შემოიფარგლა გაფრთხილებით. ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევაზე შედგენილი და სასამართლოში გადასაგზავნი იქნა 3 საჯარიმო ქვითარი-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი, აქედან 2-მა სამართალდამრღვევმა მიიღო გაფრთხილება ხოლო ერთი მათგანი დაჯარიმდა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით
3. ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 58 ობიექტი.
4. საქართველოს პრეზიდენტის N660 ბრძანებულების შესაბამისად მოხდა 2 საცხოვრებელი სახლის ლეგალიზება

ზედამხედველობის სამსახური სამშენებლო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს გაცემული სამშენებლო ნებართვების კონტროლს``. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემულ სამშენებლო ნებართვებზე ხორციელდება შემოწმება, რათა მშენებლობა განხორციელდეს გაცემული ნებართვისა და სამშენებლო დოკუმენტის სრული დაცვით. ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდგომ ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღება, რის შემდგომაც მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება მოახდინონ მათი მშენებლობადასრულებული ობიექტების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ასევე, ლეგალიზების შემთხვევაში ხდება საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაცია

პერიოდულად ხორციელდება ყოველდღიური ინსპექტირება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე, რათა მოხდეს სამართალდარღვევათა დროული პრევენცია და აღმოფხვრა. (ხდება მოქალაქეების გაფრთხილება ამა თუ იმ სამართალდარღვევაზე, ინფორმირების მიზნით, მოქალაქეებს ვაცნობთ კანონმდებლობის დარღვევაზე მოსალოდნელი საჯარიმო სანქციების შესახებ)

ზედამხედველობის სამსახურში ასევე შემოდის განცხადება- საჩივრები, რაზედაც სპეციალისტებს აქვთ მყისიერი რეაგირება.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე მონაწილეობენ სასამართლო პროცესებში გასაჩივრებული დადგენილებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის განხილვის დროს, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმოადგენენ მუნიციპალიტეტს.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე არიან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოს ინსპექტირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურთან კოორდინაციაში აწარმოებენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას და შემდგომში მათ მიღება-ჩაბარებას.

2022 წელს ჯამურად მიღება-ჩაბარება გაფორმდა 700 000 ლარამდე შესყიდულ სამშენებლო სამუშაოზე (50 000 ლარამდე შესყიდული სამუშაო).

ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების ბეჭდვას, არსებული ბაზის განახლებას და მასში კორექტირების შეტანას.

სამშენებლო სამართალდარღვევებით ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილმა საჯარიმო თანხამ შეადგინა 9900 ლარი, სულ სამშენებლო სამართალდარღვევების შედეგად დაკისრებული იქნა 14900 ლარი, ხოლო დასუფთავების მოსაკრებელმა შეადგინა 133655,6 ლარი.

შოთა კუჭაიძე,
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის
ფუნქციების განმახორციელებელი პირი

საბიბლიოთეკო კვირეული - 2023

საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვასთან დაკავშირებით მთავარ ბიბლიოთეკას ესტუმრნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის განათლების,კულტურის და სპორტის სამსახურის თანმშრომლები.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა კლარა გელაშვილმა.

განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის თანმშრომლებმა ისაუბრეს ბიბლიოთეკის როლზე, როგორც ერთ-ერთ საგანმანათლებლო კერაზე,რომელიც უდიდეს როლს ასრულებს მომავალი თაობის ჯანსაღი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. მადლობა გადაუხადეს ბიბლიოთეკის თითოეულ თანამშრომელს და წარმატებები უსურვეს მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

საბიბლიოთეკო კვირეულში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს და ეს დღე ერთმანეთს მიულოცეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა.

სოფელ ახალუბანში გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში მოეწყობა 560 გრძივი მეტრი გზა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

გზის აღნიშნული მონაკვეთის მოწყობის პროექტი მოსახლეობის მოთხოვნის შედეგად ხორციელდება.

რეაბილიტირებული გზით სარგებლობას 200-ზე მეტი მოქალაქე შეძლებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ღირებულება 386 915 ლარია.

სასიამოვნოა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოები ასეთი ტემპით მიმდინარეობს. როგორც მერიაში განგვიცხადეს, ეს პროცესი შეუქცევადია და მის სასიკეთო შედეგებს ყველა სოფელი იგრძნობს.

მარიამ ლომიძე- ახალგაზრდა ევროპელი ელჩი - გოგონა ხაშურიდან, რომელიც ამერიკაში მინერვას უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა

მარიამ ლომიძე - სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე, 2022 წლის Flex-ის პროგრამის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა ევროპელი ელჩი, მოხალისე.... სექტემბრიდან 95% დაფინანსებით ამერიკაში „Minerva University"-ში ისწავლის.

- ჩავირიცხე მინერვას უნივერსიტეში, მიმდინარე სასწავლო წლის სექტემბრიდან დავიწყებ სწავლას, მივიღე 95 პროცენტიანი დაფინანსება. მინერვა თანამედროვე, ინოვაციური უნივერსიტეტია, რომლის საშუალებით 7 სხვადასხვა ქვეყანაში ვისწავლი 4 წლის განმავლობაში".

წერს მარიამი სოციალური ქსელებში. ჩვენთან კი დასახზული მიზნის მიღწევისათვის, იმ ეტაპებზე საუბრობს, რაც მან ამერიკაში სწავლის დაფინანსების მიღებამდე გაიარა.

- ვარ „Flex" პროგრამის 2022 წლის კურსადმთავრებული, 1 წლით ვისწავლე ამერიკაში და ამის შემდეგ სულ ვიცოდი, რომ მინდოდა უმაღლესი განათლებაც აქვე მიმეღო, ამერიკაში ან საზღვარგარეთ, ნებისმიერ ქვეყანაში. არ მქონდა გადაწყვეტილი ზუსტად რომელ ქვეყანაში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას, მაგრამ დავიწყე უნივერსიტეტების მოძიება, იმის მიხედვით სად მინდოდა სწავლა. გავაგზავნე ჩემი აპლიკაციები, ჩავაბარე "SAT" გამოცდა, "TOEFL" გამოცდა, რაც საჭირო იყო გავაკეთე ყველაფერი. გავგზავნე დაახლოებით ოცამდე უნივერსიტეტში ჩემი აპლიკაციები, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სასურველი უნივერსიტეტი, მაინს მინერვა უნივერსიტეტი იყო, რადგანაც განსხვავებული სწავლების მეთოდი აქვთ მათ. უფრო რომ დავკონკრეტდე, 1 წლით ვისწავლი სან-ფრანცისკოში, შეწმდეგი სამი წელი კი, თითოეული სემესტრი სხვადასხვა ქვეყანაში მივიღებ განათლებას. მინერვა უნივერსიტეტის მიდგომაა გამოცდილებებზე დაფუძნებული სწავლება და არა მხოლოდ წიგნით, ლეპტოპით და ლექციის მოსმენით მიღებული განათლება. შსაბამისად, სხვადასხვა ქვეყნებში მივიღებთ განათლებას, პარალელურად გავეცნობით მათ კულტურას, გავაკეთებთ პროექტებს, ადგილობრივ კომპანიებთან ვითანამშრომლებთ და ა. შ. ამიტომაც ეს უნივერსიტეტი ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული იყო... დაახლოებით გაზაფხულზე, მარტში გავაგზავნე აპლიკაცია უნივერსიტეტში მათივე ვებ-საიტიდან და 4 კვირაში მივიღე პასუხები, რომ ჩავირიცხე.

-მარიამ, შენი ემოცია, როცა გაიგე, რომ მიიღე დაფინანსება...

- შუაღამეს, დილიდ 5 საათზე გავიგე ჩარიცხვის შესახებ პასუხი. თავიდან საერთოდ არ მქონდა ემოცია შოკის გამო, ვერ გავაანალიზე, რა მოხდა, თან, რაღაც მხრივ, ველოდებოდი კიდეც დადებით პასუხს, უკვე ინტერვიუც მქონდა უნივერსიტეტთან... პირველ რიგში, ჩემს მშობლებს დავურეკე, ბებიასთან ვიყავი, დილით გავაღვიძე ყველა და ძალიან გაკვირვებულები და გახარებულები ვიყავით.

- მეც ამატირა მისმა წარმატებამ, - საუბარში ერთვება მარიამის კლასის დამრიგებელი, მე-3 საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგი ლელა კიკაძე, - მარიამი იდეალური მოსწავლე გვყავს, განსაკუთრებულია მართლაც. მიუხედავად იმისა, რომ განებივრებული ვარ ჩემი კლასის მოსწავლეებით, სამი ბავშვი იღებდა „ფელქს" პროგრამაში მონაწილეობას, მარიამი არის ყველანაირად გამორჩეული სწავლით, ქცევით, აქტივობებით, იდეალური მოსწავლეა. მინდოდა მეთქვა, მარიამმა გვიან გითხრათ თქვენ, რომ ახალგაზრდა ევროპელი ელჩია, და განსაკუთრებულია. ჩემი სხვა ახლობლებიც არიან ევროკავშირის ამ პროექტში ჩართული და მარიამი გამოირჩევა საქართველოს ყველა კუთხიდან კი არა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შორისაც მათ შეკრებებზე. და მართლა ბედნიერი ვარ და ამაყი. ხედავთ, ალბათ, როგორი რესპონდენტია მარიამი. ამერიკაში, მართალი რომ გითხრათ, არ გამეხარდა

მარიამის წასვლა, რადგან მარიამი გვტოვებდა (იღიმის), თუმცა გვქონდა სისტემატიური ურთიერთობა , მიმოწერა და ყველა ნაბიჯი მარიამის არის ჩემთვის სასიხარულო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ დილის შვიდ საათზე მქონდა სიხარულის ცრემლები, ვტიროდი, ვტიროდი იმიტომ ,რომ ძალიან გახარებული ვიყავი მარიამის წარმატებით. მარიამი ყოველთვის, ყველგან მესამე სკოლას ასახელებს და გვასახელებს ჩვენ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული!

- ვფიქრობ, არა მარტო სკოლას და ქალაქს, არამედ საქართველოს წარმატებაც არის ეს...

- კი, რა თქმა უნდა. მარიამი სხვადასხვა პროექტშია ჩართული. „საფარის" პროექტი თვითონ აცახსენა, ახალგაზრდა ევროპელი ელჩი და განსაკუთრებულად აქტიურია ამ პროგრამაში. მარიამი ძალიან ხშირად ატარებდა პრეზენტაციებს, როგორც სასკოლო სივრცეშია, ასევე სხვა არაფორმალურ სივრცეებში. იყო ეს გარემოს დაცვის, თუ ქალთა უფლებების სფეროში. სკოლაში არაფერი ხდება მის გარეშე. მოკლედ, იდეალურია, ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, დრო გვიჩვენებს, მარიამთან ბევრ ინტერვიუს ჩაიწერთ მომავალშიც.

-ერთი ინტერვიუ ჩაწერილი მაქვს უკვე „საფართან" შეხვედრისას, ეს უკვე მეორეა და ავითვალოთ აწი სიამაყით. ცხადია და ნათელია, რომ განათლების მიღებაზე ორიენტირებული ხარ, თვითგანვითარებაზე ზრუნავ. საინტერესოა, სკოლაში სწავლისაგან თავისუფალ დროს, რითი ხარ დაკავებული, რა ინტერესები გაქვს?

- ვმოხალისეობ ძალიან ბევრს, ვარ „ფლექსის" ალუმნა, ვარ ჩვენი ქალაქის წარმომადგენელი „ფლექს" პროგრამაში, შესაბამისად, ყოველთვიურად პროექტებს ვაკეთებ და ეს ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია, რადგან ძალიან მიყვარს მოხალისეობა. ამასთანავე, ვარ ახალგაზრდა ევროპელი ელჩი. ეს არის ევროკავშირის ინიციატივიდან. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს ახალგაზრდები წარმოვადგენთ, ვაკეთებთ პროექტებს, რაც ჩვენს თემში შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციის, სწორი ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში ევროკავშირის შესახებ. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ჩემთვის. როგორც ყველა ახალგაზრდა, მეც მხარს ვუჭერ საქართველოს ევროპულ მომავალს და მიხარია, რომ ნაწილი ვხდები ამ პროცესისა. რაც შეეხება თავისუფალ დროს, მიყვარს დღიურების წერა, პატარა ჩანახატების გაკეთება. ძირითადად, ისეთი დაკავებული ვარ, რომ დიდად თავისუფალი დრო არ მრჩება. მაგრამ მაინც ვცდილობ დრო გამოვნახო ჩემი თავისთვის და პირადი განვითარებისთვის.

მარიამი სწავლას სექტემბრიდან ამერიკაში გააგრძელებს 95% დაფინანსებით. ბუნებრივია, დავინტერესდი რას გულისხმობს კონკრეტულად 95% დაფინანსება მინერვას უნივერსიტეტში. როგორც მარიამმა განგვიმარტა, მას დაუფინანსდება სწავლის გადასახადი, საცხოვრებელი ნებისმიერ ქვეყანაში (სადაც ისწავლის ეტაპობრივად), სასწავლო ლიტერატურა, წიგნები, სწავლისათვის საჭირო რესურსებიც. მარიამს, ამავე დროს, შესთავაზეს უნივერსიტეტის ბაზაზე სამუშაო და ბუნებრივია, აქედანაც მიიღებს გარკვეულ შემოსავალს. მინერვას უნივერსიტეტში სწავლა 40700 დოლარის ღირებულებისაა და აქედან მარიამს 37 700 დოლადი დაუფინანსდა სასწავლებლის მიერ. დარჩენილი 5 პროცენტი კი ე.წ. „ოჯახიდან შეტანილი წვლილია", ოჯახის კონტრიბუცია. მარიამის გეგმები, ამერიკაში გამგზავრების გამო, სრულიად შეიცვალა, თუმცა, საქართველოში, მიუხედავად ამისა, მაინც გეგმავს ეროვნული გამოცდების ჩაბარებას საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის გამო.

- ვფიქრობდი, რომ ჩამებარებინა ეროვნული გამოცდები, თუმცა, ჩემი პრიორიტეტი ყოველთვის ამერიკული განათლების მიღება იყო. მქონდა „ბ" გეგმა, რომ თუ ამერიკის უნივერსიტეტი არა, საქართველოში გავაგრძელებდი სწავლას და შემდეგ გაცვლითი პროგრამებით ვიმოგზაურებდი. აღარ ვგეგმავ საქართველოში სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მაინც ვგეგმავ გავიდე ეროვნულ გამოცდებზე, ჩემი შესაძლებლობები გამოვცადო, არ დავკარგო ფუჭად ჩემი სწავლა და შრომა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

-მარიამ, საინტერესოა, რა პროფესია გაქვს შერჩეული?

- მინერვას უნივერსიტეტში პირველი წელი ყველასათვის ზოგადი განათლების მიღებისთვისაა. მეორე წლიდან ირჩევ რა მიმართულებით გინდა ისწავლო, რა სპეციალობით. დაახლოებით ვიცი, რომ მინდა პოლიტიკური მეცნიერებების განხრა შევარჩიო, თავიდანვე ამას ვფიქრობდი. საქარველოში დარჩენის შემთხვევაშიც, მინდოდა საერთაშორისო ურთიერთობები შემესწავლა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ კუთხით გავაგრძელებ სწავლას... მაგრამ ერთ წეიწადში შეიძლება რადიკალურად შევცვალო გადაწყვეტილება და სხვა სფეროში წავიდე.

მარიამთან ერთად მინერვას უნივერსიტეტში, მისდა გასახარად, საქართველოდან მარიამის ორი მეგობარიც ისწავლის, მარიამ ყვავიძე და ქეთი ბუსკივაძე, ორივე მათგანი „FLEXS" პროგრამიდან. და რაც მეტად საამაყოა ხაშურელი მკითხველისათვის, ამავე უნივერსიტეტს წელს ამთავრებს ხაშურელი გოგონა, ელენე გოგალაძე, 2018 წლის „ფლექს" პროგრამის კურსდამთავრებული. როგორც მარიამმა გვითხრა, ელენე და მისი ოჯახი ძალიან დაეხმარა გადაწყვეტილების მიღებაში. მისთვის მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ უკვე მეორე იქნება ხაშურიდან „მინერვაში". წარმატებული და ნაყოფიერი სწავლის წლები უნდა ვუსურვოთ მარიამს და მრავალი წარმატებული და განათლებული ახალგაზრდა ჩვენს ქალაქს და საქართველოს.

თეა ახალკაცი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ.#1,2 ,3,7,8,9,10,11,12,13,15,16)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

1926-1927 წლების სეზონში იგი გადადის თბილისში და მუშაობას იწყებს მუშათა თეატრში, ხოლო 1927 წლის ბოლოდან საქართველოს განათლების კომისარიატი გზავნის სოხუმში, სადაც აარსებს ქართულ თეატრს. შემდეგ იგი ქუთაისში კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებული მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობია.

1930 წლიდან იგი საბოლოოდ თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს კოოპერაციულ თეატრში, რომლის ბაზაზეც შეიქმნა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი, რომლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იუო 11 წლის მანძილზე.

დ. ძნელაძე წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ფილარმონიაში, იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

დ. ძნელაძეს სცენაზე შესრულებული აქვს 100-ზე მეტი დიდი და პატარა როლი, ხოლო როგორც რეჟისორს დადგმული აქვს 40-ზე მეტი პიესა და ოპერეტა. დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

გარდაიცვალა 1971 წელს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში კარგად არის ცნობილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ ფორეს ძე ძანაშვილის სახელი. იგი ლაგოდეხის რაიონის სოფელ მშვიდობიანში დაიბადა 1932 წელს. წარჩინებით დაამთავრა ხაშურის II საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა- მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით. 1955 წელს მუშაობას იწყებს ქ. მინსკის მე-2 სახელმწიფო საკისრების ქარხანაში ჯერ ინჟინერ-ტექნოლოგად, ხოლო შემდეგ კი უფროს ტექნოლოგად. 1957 წელს დაინიშნა ამავე ქარხნის ავტომატური სახარატო საამქროს უფროსის მოადგილედ, ხოლო 1960 წლიდან ამავე საამქროს უფროსად. 1962 წლიდან ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტია. ამავე პერიოდში იგი ჯერ ქარხნის ლაბორატორიის უფროსია, ხოლო შემდეგ კი მთავარი ინჟინრის მოადგილე.

1967 წელს გ. ძანაშვილი იცავს საკანდიდატო დისერტაციას და აწინაურებენ ქარხნის მთავარ ინჟინრად. 1969 წლიდან იგი მოსკოვში მოღვაწეობს და სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირში საკისრების ქარხნების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეს. აქ იგი დაინიშნა საბჭოთა კავშირის საკისრების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით ხაშურში გასული საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა საკისრების ქარხანა. 1993 წელს თბილისში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

გ. ძანაშვილი იყო კონცერნ „პოდშეენიკის“ ვიცე-პრეზიდენტი. არჩეული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიკოსად, მინიჭებული ჰქონდა რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მანქანათმშენებლის წოდება, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსრკ და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია.

გარდაიცვალა 2010 წელს.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი იოსების ძე ხაბელაშვილმა (დაიბადა 1937 წელს, ქ. ხაშურში) დაამთავრა II საშუალო სკოლა. 1961 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით. შემდეგ 1979 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. 1961-1976 წლებში მუშაობდა თსუ ჯერ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ინჟინრად, უფროს ინჟინრად, უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1976-1980 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელია, შემდეგ დოცენტი. 1980 წლიდან მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში სექტორის ხელმძღვანელად, სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგედ და სხვა. ლექციებს კითხულობდა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე.

თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი შალვა გიორგის ძე ხერხეულიძე, მართალია, ქ. ბაქოში დაიბადა 1908 წელს, მაგრამ მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქ. ხაშურთან. მან აქ გაატარა ახალგაზრდობის წლები. აქვე სწავლობდა ხაშურის ცნობილ გიმნაზიაში და აქვე ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას. 1925 წლიდან მონაწილეობდა სახალხო თეატრებისა და მუშათა კლუბების სპექტაკლებში. პროფესიულ სასცენო მოღვაწეობას ეწევა 1933 წლიდან. მუშაობდა ფოთის, სიღნაღის, ხაშურის, ბორჯომის სახელმწიფო თეატრებსა და ბაქოს ქართულ თეატრში (1933-40), გორის სახელმწიფო თეატრში (1941-80), თბილისის კინომსახიობთა თეატრში შესრულებული აქვს 250-მდე როლი, მათ შორის აღსანიშნავია სოლეიმანი, ოთარბეგი, ანანია (სუმბათაშვილის „ღალატი“) პეტრუჩიო (შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“), პრეზიდენტი, ჰოფმარშალი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ფიცილა (გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“), პეპო (გ. სუნდუკიანის „პეპო“), თედუა (მ. ელიოზაშვილის „ბებერი მეზურნეები“), ავეტიქა, გიჟუა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) და სხვა.

შ. ხერხეულიძე 1954 წლიდან მოღვაწეობდა კინოში. მან შეასრულა როლები: ფოტოგრაფი („ჩემი არდადეგები“), დავით მინდელი („ქალაქი ადრე იღვიძებს“), მიხო („ღიმილის ბიჭები“), თიბო („დიდედები და შვილიშვილები“), აქვსენტი ოდიშარია („ყოჩაღ პაპებო“), თაქთაქიშილი („წიგნი ფიცისა“), მჭედელი („მჭედელი“), ეპისკოპოსი („ეპისკოპოსის ნადირობა“) და სხვა.

შ. ხერხეულიძეს 1965 წელს მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ წოდება.

გარდაიცვალა 1994 წელს.

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი გრიგოლ ნესტორის ძე ჯაფარიძე 1904 წელს დაიბადა ქ. ხაშურში, რკინიგზელის ოჯახში. 1929 წელს დაამთავრა თსუ პედაგოგიური ფაკულტეტი ლიტერატურული განხრით, ხოლო 1933 წელს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით.

გრ. ჯაფარიძე 1930 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა სამედიცინო ტექნიკუმში, თბილისის საშუალო სკოლებში. 20 წლის განმავლობაში იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის გამგე. 1955 წლიდან მოღვაწეობდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იგი არის არაერთი საყურადღებო შრომისა და სტატიის ავტორი მათემატიკის სწავლების მეთოდიკის დარგში. 1961 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ცნობილი პოეტი ლალი სოლომონის ასული ჯაფარაშვილი ხაშურში დაიბადა. მან 1964 წელს აქვე დაამთავრა I საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლ. ჯაფარაშვილი თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ადგილობრივი რადიოს რედაქტორია, აქვეა შრომის მეცნიერული ბიუროს ინჟინერი. ამავე დროს თანამშრომლობდა საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციასთან. 1982 წლიდან მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის პედაგოგად.

ლ. ჯაფარაშვილს პირველი ლექსი 1968 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, ხოლო პირველი წიგნი-ლირიკული კრებული – 1979 წელს გამოვიდა, რასაც შემდგომში მოჰყვა კრებულები. 2011 წელს მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო მისი ლექსების ახალი კრებული „იმედი“.

1984 წლიდან ლ. ჯაფარაშვილი არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მწერლობაში. გამოცემული აქვს საბავშვო ლექსების რამოდენიმე კრებული: „მზეკარა“ (1979), „აპრილის ცრემლი“ (1986) და სხვა. 1999 წელს ჟურნალ „დილაში“ დაბეჭდილი ლექსებისთვის მიენიჭა შიო მღვიმელის სახელობის ლიტერატურული პრემია. პოეტმა არაერთი პოეტური სტრიქონი უძღვნა თავისი ბავშვობის ქალაქს. აი, ერთი მათგანი, რომელშიც საოცარ სიყვარულსა და სითბოს აქსოვს:

ჩემი ბავშვობის ქალაქს ხაშურს

რაც თავი მახსოვს, მიახლოვდები,
შენთან მყოფი და შენგან წასულიც,
ტაძრის შუქით და ნაშალ ლოდებით,
ხოშარ მიწაში მფეთქავ წარსულით.
ფიქრდაფიფქული მოვიწევ შენსკენ,
მწედ გიგულებ და მეიმედები,
როცა ამწვანებს შენს კორდს და ნეკერს
თოვლნაჟური და წვიმის წვეთები.
როცა მონისლავს ძვირფას საფლავებს
ია-ია და ფურისულები,
მომეჩვენება,– ოცნების ნამლევს,
ესათუთება მათი სულები!...
მე იმათ ნათელს სიზმრებში ველი
და ვიდრე შენს თბილ წიაღში წავალ,
უნდა მოვნახო სიტყვა, რომელიც
ღვთის ხმიადივით აპურებს მრავალს!

ხაშურლები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (XXს-ის 80-90-იანი წლების შიგნით)

9 აპრილამდე

80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში აღინიშნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით. ქვეყანაში გამოცხადებულმა ე.წ „პერესტრობის“ კურსმა საგრძნობლად დააჩქარა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ნამდვილად არ ფიქრობდა საბჭოთა კავშირის დაშლას. ისინი ცდილობდნენ დემოკრატიული რეფორმების გზით მის შენარჩუნებას, მაგრამ ქვეყნის შიგნით მოკავშირე რესპუბლიკებში განავითარებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და საზღვარგარეთის ზეწოლამ თავისი შედეგი გამოიღო.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებთ მკვეთრად იჩინა თავი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის საიუბილეოდ მზადების პერიოდში. ამ პერიოდში იქმნება და ასპარეზზე გამოდის ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა იმ პერიოდში მოქმედ თითქოს ყველა ეროვნულ ძალებს.

ამავე პერიოდში, ხაშურში, გიორგი ცხვედაძის მხრიდან იყო მცდელობა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შექმნისა, მაგრამ ვერ განხორციელდა. ეროვნულად მოაზროვნე ძალებმა ხაშურში თანდათან იწყეს თავმოყრა და გაერთიანება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ირგვლივ. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ხაშურის რაიონიდან მოსწავლე სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლებსაც ადგილზე, მუზეუმის მხრივ, დახვდათ მომზადებული ნიადაგი. ადგილობრივი ხელისუფლება ფრთხილობდა, შეიძლება ითქვას, რომ მოუმზადებელი, ამასთან ერთგვარი შიშით შეხედა დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას. თუნდაც ის ფაქტი, რომ სტუდენტ-ახალგაზრდობის მიტინგის ჩატარების ნებართვა ქალაქიდან მოშორებით, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის სხდომათა დარბაზში მისცეს, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ.

1988 წლის 20 ნოემბერს, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის კლუბში ხაშურელ სტუდენტთა ინიციატივით შედგა პირველი მიტინგი. გამომსვლელებმა ისაუბრეს რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებაზე და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდეს აქტიურად ჩართულიყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ამ მიტინგს ხაშურის საზოგადოებაში დიდი გამოძახილი ჰქონდა. ეს იყო პირველი საპროტესტო გამოსვლა ეროვნულად მოაზროვნე ახალგაზრდებისა, რომლებიც ცდილობდნენ დასაყრდენი მოეპოვებინათ ქალაქისა და რაიონის საზოგადოებაში.

ერთი წლის შემდეგ, ხაშურელი სტუდენტები ასე გაიხსენებენ ხაშურში სტუმრობას.

ხაშური, 1988 წელი, ნოემბერი: ოცამდე ხაშურელმა სტუდენტმა, რომლებიც თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, წესისა და რიგის მიხედვით) შეიტანა განცხადება რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე კრების მოწყობის თაობაზე. ვთხოვდით რკინიგზის კულტურის სახლის დარბაზს. კრება სანქცირებული იქნა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელებმა დაიცვეს რა „უსაფრთხოების“ წესები, შეხვედრისათვის საგალანტერიო ფაბრიკის მოცილებული დარბაზი გამოჰყვეს, კრებამ, რომელიც საქართველოს პრობლემებსა და რაიონის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხებოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია და დიალოგის გაგრძელების პრეცენდენტიც კი შექმნა. კრების ორგანიზატორებმა და მოსწავლეთა ნაწილმა თავისი წვლილი შეიტანეს მწერალტა კავშირისა და არაფორმალურ საზოგადოებათა მიერ ორგანიზებულ აქციაში: შეგროვდა ხელმოწერები კონსტიტუციაში ცვლილებათა პროექტის წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რაიონის ხელმძღვანელობამ შექმნილ სიტუაციას თავიდანვე ვერ აუღო ალღო და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს პარტიულ დიქტატში და ადმინისტრაციულ ორგანოებზე მუშაობის გააქტიურებაში ხედავდა. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ 1988 წლის 30 ნოემბერს პარტიის რაიონულ კომიტეტში გამართული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის პარტიული, სამეურნეო-იდეოლოგიის დარგის მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია რესპუბლიკაში არსებული იდეოლოგიური ვითარების გათვალისწინებით რაიონში განხორციელებული პირველი რიგი ამოცანების შესახებ და რაიკომის იდეოლოგიურ სამსახურს დაევალა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და მასზე კონტროლი.

ამავე დღეებში, რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, განიხილეს ხაშურელ სტუდენტთა იმავე ჯგუფის განცხადება, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებასთან ორგანიზებული შეხვედრის მოწყობას 4 დეკემბერს. აღმასკომის სხდომაზე აღინიშნა, რომ სტუდენტებმა 20 ნოემბერს, აღმასკომის ნებართვით, რაიონის საზოგადოებასთან შეხვედრა მოაწყო საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის კლუბში ანალოგიურ საკითხებზე და აღმასკომმა ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად ჩათვალა სტუდენტთა განცხადების დაკმაყოფილება..

4 დეკემბერს, სტუდენტებმა მართლაც სცადეს ქალაქის ცენტრში მიტინგის გამართვა. დილიდანვე ავტომანქანებით მათ შემოიარეს ქალაქის ცენტრალური ქუჩები და მოსახლეობას მოუწოდებდნენ სასტუმრო „ივერიის“ წინ თავშეყრის, მაგრამ სამართალდამცავმა ორგანოებმა მოახერხეს აღეკვეთათ უსანქციო მიტინგის ჩატარების მცდელობა და სტუდენტობა ავტობუსით თბილისისკენ გაამგზავრეს.

მოვუსმინოთ ისევ სტუდენტებს:

„ხაშური, 1988 წელი, დეკემბრის 4: დღის პირველ ნახევარში გაიმართა საუბარი პარტიის ხაშურის რაიკომის ბიუროს წევრებსა და სტუდენტთა ჯგუფს შორის, რომელიც დაძაბულად მიმდინარეობდა. აქ ჩვენ არაორაზროვნად გაგვიცხადეს: კრება, რომლის გამართვასაც თქვენ აპირებთ დღეს, არ შედგებაო. (არადა განცხადებაც შეტანილი იყო წინასწარ და ასევე მოგვარებული იყო სხვა ფორმალური მხარეები, გარდა ერთისა: განცხადები შეტანის ვადა ერთი დღით იყო დაგვიანებული). ფაქტობრივად, რაიკომის ბიურომ გადაწყვიტა აღმასკომის სახელზე შეტანილი განცხადების ბედი. ესეც საბჭოების ხელისუფლება! ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო გაგვეპროტესტებინა ეს საკითხი, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ სიტუაციის გამწვავება. კრება, რომელზედაც უნდა გვემსჯელა ხაშურის რაიონში ჩამოსახლებულ მესხებზე, რუსული სკოლის საკითხზე და სხვ., არ შედგა, ოფიციალურად აქციის აკრძალვის მიზეზად თავისუფალი დარბაზის უქონლობა დაგვისახელეს. ფაქტია, წინასწარ ყველა დარბაზი საგულდაგულოდ დაეტვირთათ სხვადასხვა ღონისძიებებით. მთავარი მიზეზი კი აი რა იყო: იმძლავრა რა პავლოვის პირობითმა რეფლექსმა, რაიონის მესვეურებმა აღარ ისურვეს, გაგრძელებულიყო ნოემბერში ჩატარებულ კრებაზე დაწყებული კრიტიკის ქარცეცხლი, რომლის ობიექტებად თავიანთი თავებიც ჩათვალეს. როგორ შეიძლება, რომ მანიფესტაციის ნებართვა მოგცეს იმან, ვისი პოლიტიკური ოპონენტიც თავად შენ ხარ. ამიტომაც, მიტინგისა და დემონსტრაციების ჩატარების წესის შესახებ მიღებული კანონი არადემოკრატიულია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში, სკვერის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა გარე განათებები, დასასვენებელი სკამები, ურნები, საბავშვო ატრაქციონები. ეწყობა დეკორატიული აგურის კედელი, ფანჩატური, იქნება მწვანე სივრცეები.

აღნიშნული სამუშაოები, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესი.

პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს და ღირებულება 217 547 ლარს შეადგენს. სამუშაოები საპილოტე რეჟიმში, მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება და სამომავლოდ, ის უფრო მასშტაბური იქნება.

მშვიდობის ქუჩის ბოლოს ყოფილი საკირის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, გართობისა და დასვენების საშუალებას მისცემს, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასევე, სტუმრებს.

სურამში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, მინი სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობს

პროექტი, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება.

„ამ ეტაპზე, ტერიტორიის მავთულბადით შემოსაზღვრა მიმდინარეობს, სამუშაოების ფარგლებში, სტადიონის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია, ფეხბურთის კარებისა და კალათბურთის ფარების მონტაჟი. იქნება ხელოვნური საფარი და თანამედროვე ტიპის განათება. ასეთი სივრცეების არსებობა, ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და პოპულარიზაციას, ამიტომ, ვცდილობთ, რაც შეიძლება ბევრგან ავაშენოთ მინისტადიონები“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის მოადგილე ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 143 109 ლარს შეადგენს.

ლალო გელაშვილი: ხატვა ის უსასრულო, ულამაზესი და ღვთიური სამყაროა, რომელიც მე ვიპოვე ჩემში და რომელიც ჩრდილივით მუდამ თან დამყვება...

ჩემო ქალაქო, ლალო გელაშვილს უნდა იცნობდე! შენს ქუჩებში მოსიარულე საოცარ ხელოვანს, ახლახანს რომ დაგიბრუნდა და ყველაფერს, რასაც ეხება, საოცარი ემოციებით გრძნობს, განიცდის და გიბრუნებს უკან - დიდი ხნის წასული შვილი რომ უბრუნდება დედას, ისეთი განცდებით. მისი სამყარო საოცარი ფერებითაა სავსე, ბუნებაში რომ ვერ იპოვოთ, ისეთით-ტილოზე გადმოაქვს, პოეზიად აქცევს.

ასეთი ინტერვიუ არასდროს მქონია, კითხვის დასმაც კი ვიუხერხულე, იმდენად თავისთავად, საოცარი ქარიზმით დაიწყო და დასრულდა პროცესი. ინტერვიუც განსხვავებულია, მე არ ვსვამ კითხვას, თავისთავადი დინებით მიდის ყველაფერი, რომელიც უკეთესად გაცნობთ საკუთარ თავს, შემოქმედებას, ამბობს, რომ მხოლოდ გამტარია, იმ ენერგეტიკის, რასაც სამყარო უგზავნის. ისიამოვნეთ, წინ საოცარი მხატვრის მონოლოგი გელოდებათ, რომელიც იმ წიგნივით იკითხება, მუდამ სასთუმალთან რომ უნდა გედოს.

***

-თითეულ ადამიანში ძევს შემოქმედის მოცემულობა, ამიტომ მეც ვხატავდი დაბადებიდან... ჩემს მახსოვრობას შემორჩა ჩემი მამაპაპეული სოფლის ერთნავიანი ეკლესიის ვარსკლავებით მოხატული გუმბათი და ხატები. პატარა ვიყავი, მაშინ, თითქოს ხატები მთხოვდნენ-დამხატეო და ალბათ მაშინ პირველად ავიღე ხელში ფუნჯი, როგორც მხატვარმა და ხატების ხატვა დავიწყე მარმარილოს ქვებზე...ამ ხატებს ახლაც ცხადად ვხედავ, თუმცა ეკლესია დიდი ხნის წინ გაქურდეს, ხატები ამოჭრეს და ისე წაიღეს. მახსოვს, სახლის საკურთხებლად იყო მოსული მამაო ჩვენთან და მითხრა, ხატების წერას თავისი წესები აქვსო და ამიკრძალა, მეც გავერიდე...

ვფიქრობ, ხატვის ნიჭი ადაიანის არსში ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ გააჩნია, როგორ დაიჯერებ. ხატვა -შენს საკუთარ თავში შენივე სამყაროს მოძიება და აღმოჩენაა...ამიტომ არ არის ძნელი აიღო ფუნჯი და დახატო...ძნელია, დაიჯერო, რომ მართლა ხატავ...ხატვა, როგორც თავისუფლება...ზოგი მთელ ცხოვრებას უთმობს საკუთარი თავისუფლების ძიების გზას, ზოგიც პოულობს მას და მაშინ, ის ხდება ჭეშმარიტი ხელოვანი, უფლის ხატი და მსგავსი...

პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ვარ. პროფესიონალური თვალსაზრისით განვიხილავდი სხვათა ნამუშევრებს, და პარალელურად, ყოველთვის ვხატავდი, ისევე, როგორც ვწერდი ლექსებს...ან ვწერდი მუსიკას..ან ვკერავდი...ან ვქსოვდი.. ან კერძებს ვიგონებდი...შემოქმედებითი სული მუდამ ენთო ჩემში...მაგრამ თუ გიპასუებთ, როდის შევდექი, როგორც მხატვარი--მაშინ, როდესაც შემიყვარდა... ერთი ნახვით, სულით ხორცამდე. ამ დროს, დეენემის დონეზე შეიძლება შეიცვალოს და გადაეწყის ადამიანის არსიც, ნიჭიც, სხეულიც... მე გავიცანი ჩემი შვილების მამა და გადავედი სრულიად სხვა განზომილებაში.... და დავიწყე ისეთი ნახატების შექმნა, რომელმაც განცვიფრებასა და აღფრთოვანებაში მოიყვანა მეგობრებიც, ხელოვნებათმცოდნეებიც და ეზოთერიკოსებიც. მეუღლეს წლების წინ დავშორდი, მაგრამ ხატვა, როგორც ნაპოვნი სამყარო ჩემში, სულ ჩემთანაა

მე ვიზიონერი მხატვრი ვარ. ეს არის ხელოვნების მიმდინარეობა, ხატვის სტილი, როდესაც შემოქმედი გადადის ნატიფ სამყაროებში და გადმოაქვს ტილოზე სულიერი, მედიტაციური ან ენერგეტიკული პრაქტიკის დროს მიღებული შთაბეჭდილება. ასე ვთქვათ, თავად ხატვის პროცესი ხდება სულიერი პრაქტიკა და უსასრულოდ იზრდები ამ გზაზე.. ინფორმაცია გადმოდის სამყარის ცოცხალი ცნობიერი ველიდან... ჩემივე ნახატები ჩემთვისაც ამოუწურავი ინფორმაციული წყაროა. მე გამტარი ვარ და მადლობა ამისთვის უმაღლეს შემოქმედს.

ამჟამად ვიღებ შეკეთებს და ვხატავ ადამიანებისთის ინდივიდუალურ ენერგეტიკულ პორტრეტებს, ანუ ბორჯღალა–მანდალებს.

რა არის ადამიანისთვის დახატული ინდივიდუალური ბორჯღალა და რას ემსახურება ის?

ამ სამყაროში ყველაფერი, ადამიანებიც კი, ვიბრაციის სხვადასხვა სიხშირეებს წარმოადგენენ, ქვაც კი ვიბრაციაა გამყარებულ მდგომარეობაში.... ასევე არსებობს სიმბოლოები, რომლებიც წარმოადგენენ დაწერილ, ანუ დაბეჭდილ ვიბრაციებს. როგორც მოსმენილი მელოდია იწერება ნოტებად, ასევე შეიძლება ნებისმიერი სულიერი თუ უსულო არსის, ან ინფორმაციის ვიბრაცია დახატო, დაბეჭდო, ან გამოკვეთო. ეს არის ერთგვარი კოდი, გასაღები..ამგვარი ქვადქცეული ინფორმაციაა ჩუქურთმები ჩვენს -ძველ ტაძრებზე ,თუნდაც -- ორნამენტები ეროვნულ სამოსზე.

არსებობს სამყაროს ღვთაებრივი წყობა, ღვთაებრივი არქიტექტურა, ღვთაებრივი ვიბრაცია. ღვთაებრივი იმიტომ, რომ მარადიულია, ჰარმონიული და საღი, რომლის ნაწილი და მაგალითებია , მაგალითად ეგვიპტის პირამიდები, ბახის სიმფონიები, ლეონარდოს მხატვრობა, ქართული მრავალჟამიერი და ლოკოკინას ბაკანის სპირალისებური ფორმაც...

ამოვარდნა ამ ღვთიური წყობიდან ,მასთან დისჰარმონია, არის ნებისმიერი ავადობის სათავე... ადამიანებში რღვევა ჩნდება ჯერ მის ინფორმაციულ სხეულში, (ადამიანს გააჩნია რამდენიმე ვიბრაციული სხეული,) ,აზიანებს მის ყველაზე მყარ ვიბრაციულ სხეულსაც-ფიზიკურს. .ნებისმიერი ავადობა არის ტვინისგან სხეულისთვის მოწოდებული არასწორი ინფორმაცია-ვიბრაცია. ხოლო,

(დასასრული VI გვერდზე)

ლალო გელაშვილი: ხატვა ის უსასრულო, ულამაზესი და ღვთიური სამყაროა, რომელიც მე ვიპოვე ჩემში და რომელიც ჩრდილივით მუდამ თან დამყვება...

(დასასრული)

ასევე სწორ ,დახვეწილ , "ენერგიას" და "ვიბრაციას" შეუძლია უკეთესობისკენ შეცვალოს ჩვენი ფიზიკური და სულიერი სტრუქტურა.

-რას ემსახურება ბორჯღალა-მანდალა?

ის ახდენს ჩვენში ჩადებული დნმ–ის ინფორმაციის გააქტიურებას; გამოაქვს ქვეცნობიერიდან სხვადასხვა ბლოკირებული ემოციები, რომელიც აზიანებს ჩვენს ჯანმრთელობასა და ფსიქიკას. ახდენს გარემო სივრცის ჰარმონიზირებას და განწმენდას; მარჯვენა–მარცხენა ტვინის ნახევარსფეროების წონასწორობაში მოყვანას;სვამს ადამიანს სამყაროსთან მთლიან ველში და ამიტომ ცვლის მის ცხოვრებას უკეთესობისკენ.

არსებობს სამყაროს სრული და მუდმივი ინფორმაციული ველი,რომელზე წვდომაც შეუძლია ნებისმიერ გახსნილს. ასეთ ადამიანებს გამტარებს ან მიმღებებს ეძახიან.ესენი არიან განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანები და მათი უმრავლესობა ხელოვანია.მათ შორის ვარ მეც-- თქვენი მეგობარი და მოსიყვარულე ლალო გელაშვილი.

- როგორც მხატვარი რას ვაკეთებ მე?

შევდივარ ინფორმაციულ ველში, ვხედავ თქვენს ვიბრაციას...რომ დავაზუსტო , კი არ ვხედავ ,არამედ ვგრძნობ ,ეს ყველაფერი მოდის იმპულსების სახით და ვეცნობი თქვენს ინფორმაციულ პორტრეტს. რომელიც მერე ასევე ფერების და მონახაზების, ანუ უფრო გამყარებული ვიბრაციის სახით გადმომაქვს ფურცელზე და ვაჯენ მას ,,ალის'' ანუ ღვთაებრივი ენერგიის საწყის და გამააქტიურებელ ბორჯღალში. სამყარო ზრუნავს თქვენზე და იქმნება სწორდს ის ნახატი, რომელიც მოცემულ მომენტში, ოპტიმალურად სჭირდება თქვენს ღვთიურ არსს გაძლიერებისა და გაჯანსაღებისთვის. თქვენ ხდებით ღვთაებრივი არქიტექტურის მწყობრი და გააქტიურებული ნაწილი-ასე იქმნება თქვენთვის ინდივიდუალური ბორჯღალა... ის გეხმარებათ თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებების მოხდენაში, გაჯანსაღებასა და სირთულეების დაძლევაში-ის ხდება თქვენი ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი....



-ხაშურიდან იმ დროს წავედი,როცა შორტის ჩაცმისთვის შეიძლება კაცი ეცემათ. ახლა დავბრუნდი და ქალაქი დამხვდა გაზრდილი და ფერადი ქვაფენილით და თვალშისაცემი-ემანსიპირებული ქალებით, განახლებული მუსიკალური სკოლით, სადაც ამ ექვსიოდე თვის მანძილზე უკვე რამდენჯერმე დავესწარი შესანიშნავი კლასიკური მუსიკის კონცერტს. ასევე დავესწარით რამდენიმე სპექტაკლს და ეს მეტყველებს,რომ ქალაქი ცოცხალია და მზის სხივებით ივსება...ალბათ, მეც მის გასაფერადებლად ჩამომიყვანა აქ სამყარომ. ამიტომ, ჩემს პირველ პერსონალურ გამოფენას აქ ვგეგმავ, რადგან ხაშურელი ვარ და საწყისი წერტილიც ჩემი შემოქმედებითი ტურნესთვის ეს ქალაქი უნდა იყოს.

თუ მკითხავთ, სად უფრო ვჩანვარ, ჩემი შინაგანი ბუნებით, გიპასუხებთ:

ხატვა ის უსასრულო ,ულამაზესი ,საინტერესო და ღვთიური სამყაროა, რომელიც მე ვიპოვე ჩემში...და რომელიც ჩრდილივით მუდამ თან დამყვება...ვიქნები მარტო, თუ უამრავ ადამიანთან ერთად... ხოლო პოეზიას კაკუნას ვეძახი...მომიკაკუნებს ლექსი და მთავარია, კარი გავუღო...მაშინვე სკუპ და იბადება... უამრავი ლექსი ჩაწერილიც არ მაქვს ქაღალდზე, მხოლოდ ინტერნეტსივრცეშია, რადგან მოდის და მე ვწერ... განსხვავება ლექსსა და ნახატს შორის ისაა, რომ ლექსი რამდენიმე წუთში, ნახატი კი თვეობით იქმნება...ერთი ჩემს გულის თქმას გადმოსცემს, მეორე კი სამყაროსას... ასე რომ, მე უფრო ჩემს ლექსებში ამომიცნობთ...ნახატები კი სრულიად სამყაროს ეკუთვნის.

ძალიან მნიშნელოანია ჩემთვის მაყურებელი--განსაკუთრები მიხარია,ბავშვებს რომ მოწონთ ჩემი ნახატები

- რა აზრი აქვს შენს არსებობას.. გინდა ადამიანი იყავ, გინდა ღმერთი. თუ ვინმე არ გხედავს,თუ არ უყვარხარ... ?

ღმერთმაც იმიტომ შექმნა ადამიანი ,რომ მას ყვარებოდა ადამიანური სიყვარულით...და ვინმეს დაენახა და სახელი დაეძახა მისთვის...ვისაც გაუზიარებდა. მერე ადამიანმაც იმიტომ შექმნა ღმერთი ,რომ მუდმივი სიყვარულის წყარო ეპოვა მისი სახით....

სარკესავითაა ეს ყველაფერი...სარკის ანარეკლი არ ვართ ჩვენ... ჩვენ ის ვართ, ვინც იცქირება ამ სარკეში.... უფლის ანარეკლი სარკეში კი ალბათ ადამიანია... ---აი,ვინა ვართ ჩვენ....უფლის ანარეკლი სარკეში... - სიყვარული რაღაა მაშინ?!!! კარებია სიყვარული....!!! რომელიც სარკეში მოცქირალს და ანარეკლს ერთმანეთს ახუტებს....

თუ ბოლო სიტყვაობა უნდა ვთქვა, ვიტყვი, რომ ადამიანები სიყვარულის ძიებაში ვხარჯავთ სიცოცხლეს და უსიყვარულობითა და მარტოობით ვიტანჯებით მაინც...ბედნიერების საიდუმლო კი, სიყვარულის გაცემა-გაზიარებაშია! სულ რომ უსიყვარულოდ დაიარებოდე, უსახური და უსიცოცხლო, ერთი წვეთი სიყვარული თუ მოიმადლე შენში და გაეცი,მალე ნაკადულად დაგიბრუნდება... სიყვარულის ნაკადულს თუ სხვას დაალევინებ,მერე ზღვა სიყვარულს გადააწყდები და ასეა უსასრულოდ. ეს სამყაროს კანონია და ამიტომ,ვინც ახლა ამ სიტყვებს კითხულობთ, ყველას გიზიარებთ ამაღლებულ,ფერად და ტკბილ სიყვარულს... მე თქვენ მიყვარხართ!

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.